



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 ნოემბერი 2023



N 665/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მამკოდაში შპს „ენკოს“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ენკოს“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მამკოდაში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

აღსანიშნავია, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მამკოდაში შპს „ენკოს“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე 2023 წლის 3 ოქტომბერს გაიცა გადაწყვეტილება (ბრძანება №515/ს), რომლის საფუძველზე, კომპანიას უარი ეთქვა საქმიანობის განხორციელებაზე. აღნიშნულის შემდგომ, 2023 წლის 20 ოქტომბერს შპს „ენკოს“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა განახლებული სკრინინგის განცხადება, რომლის მიხედვით შეიცვალა ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს (როტორული და ყბებიანი სამსხვრევეები) განთავსების ადგილი.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოები მოწყობილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მამკოდაში არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. 2022 წლის 10 ოქტომბერს, აღნიშნულ ტერიტორიაზე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ შპს „სმარტ სოლუმენზე“ გაიცა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია-ბრძანება (№90), რომელიც 2023 წლის 25 სექტემბერს საკუთრებაში მთლიანად გადაეცა შპს „ენკოს“ (ლიცენზია-ბრძანება №827). ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 140 მეტრით, ხოლო ასფალტის საწარმოდან – 160 მეტრით. დოკუმენტში მითითებულია, რომ უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. გლდანისხევი ასფალტის საწარმოდან მიედინება დაახლოებით 37 მეტრში, ხოლო ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელ საწარმოში განთავსებული სამსხვრევეებიდან 43 და 51 მეტრში. საპროექტო ტერიტორიას დაახლოებით 35 მეტრში ესაზღვრება „თბილისის ეროვნული პარკი“. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი წიაღისეულის მოპოვების ობიექტის გეოსაინფორმაციო პაკეტის თანახმად, სალიცენზიო ობიექტიდან 160 მეტრში მდ. გლდანისხევის კალაპოტს კვეთს ბაქო-სუფსის ნავთობსადენი.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 20 სექტემბერს სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ენკოს“ კუთვნილი ობიექტების ინსპექტირება, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო ფართობის მიმდებარედ, კომპანიის მიერ მოწყობილია ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოები, რომლებიც ფუნქციონირებს

2023 წლის 16 სექტემბრიდან. აღნიშნულის საფუძველზე, სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელების ფაქტზე, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 797-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №083920 ოქმი და ადმინისტრაციული წარმოების მასალები განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი საწარმო წარმოდგენილია მობილური როტორული და ყბებიანი სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარების სახით (150-200 ტ/სთ), რომლებიც აღჭურვილია სათანადო კომპლექტაციით: მიმღები ბუნკერები, ვიბრაციული საცერები, ლენტური ტრანსპორტიორები, ასევე, ნედლეულისა და პროდუქციის ღია სასაწყობე მოედნები. სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარების განთავსების GPS კოორდინატებია №1 – X-487249, Y-4630651; №2 – X-487240, Y-4630639. საპროექტო ტერიტორიაზე, აგრეთვე, მოწყობილია ასფალტის მობილური საწარმო (100 ტ/სთ), რომლის შემადგენლობაში შედის: მკვებავი ბუნკერი, ლენტური კონვეიერი, საშრობი დოლი, ბიტუმსახარში რეზერვუარები, შემრევი დანადგარი, მინერალური ფხვნილის (ფილერი) სილოსი და მტვრის შემკრები სისტემა, ბიტუმის საცავი (45 ტონა), ასევე, დიზელის ორი ავზი (ჯამურად 10 ტ). სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების ფართობი და მათი შემადგენელი რიგი ინფრასტრუქტურის (ნედლეულისა და პროდუქციის ღია სასაწყობე მოედნები, დიზელის ავზები) განთავსების GPS კოორდინატები, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, ვინაიდან, ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელ საწარმოში მოწყობილი ერთი სამსხვრევი ხვდება უშუალოდ მდ. გლდანისხევის კალაპოტში, ხოლო მეორე – წყალდაცვით ზოლში, მდ. გლდანისხევის ღვარცოფული ბუნების გათვალისწინებით, მდინარის ჰიდროლოგიური მახასიათებლები საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელ საწარმოში ხორციელდება ამავე ტერიტორიაზე გაცემული ლიცენზიის ფარგლებში მოპოვებული ქვიშა-ხრემის მშრალი მეთოდით გადამამუშავება. ტექნოლოგიური პროცესი იწყება მიმღებ ბუნკერში ქვიშა-ხრემის ჩაყრით, საიდანაც ნედლეული, ლენტური ტრანსპორტიორის მეშვეობით, გადადის როტორულ სამსხვრევში. როტორული სამსხვრევიდან ქვიშა-ხრემში მიეწოდება ყბებიან სამსხვრევს, წვრილ ფრაქციებად დასამსხვრევად. დამსხვრეული მასალა ხარისხდება ვიბრაციული საცერის საშუალებით და თავსდება ღია სასაწყობე მოედანზე. სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ფარგლებში, კარიერზე შესაძლებელია თვეში დაახლოებით 2 754 მ³, ხოლო დღეში – 91.8 მ³ ქვიშა-ხრემის მოპოვება. მოპოვებული ნედლეულის რაოდენობის გათვალისწინებით, სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარები, დღის განმავლობაში, იმუშავებს 40 წუთი მაქსიმალურ ბრუნზე, ან 3-საათი მეოთხედი ბრუნით. დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს საათური წარმადობა, წლიურად გადასამუშავებელი ნედლეულისა და მიღებული პროდუქციის რაოდენობა, ასევე, ობიექტის სამუშაო გრაფიკი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ასფალტის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში, ბიტუმის თხევად მდგომარეობაში უზრუნველსაყოფად, იგი ცხელდება ტენების მეშვეობით, დიზელის წვის შედეგად მიღებული სითბოს ხარჯზე. გახურებული ბიტუმი, სპეციალური მილსადენით, მიეწოდება ბიტუმსახარში რეზერვუარს, სადაც ხორციელდება მისი გაუწყლოება და მუშა ტემპერატურამდე გაცხელება. აღნიშნულის შემდგომ, ბიტუმი იტვირთება შემრევ დანადგარში, სადაც ემატება მინერალური ფხვნილი და გახურებული ქვიშა-ხრემი. ქვიშა-ხრემის შესაბამის ტემპერატურამდე გახურება ხორციელდება საშრობ დოლში. ობიექტი აღჭურვილია მტვრის შემკრები სისტემით და სახელოებიანი ფილტრებით (ეფექტურობა – 99.99%). მტვრის შემკრებ სისტემაში დაჭერილი შეწონილი ნაწილაკები გროვდება

სპეციალურ ავზში და გაშრობის შემდგომ, უზრუნდება ტექნოლოგიურ ციკლს. ასფალტის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში გათვალისწინებული ბიტუმი და მინერალური ფხვნილი საწარმოში შედის მზა სახით, ხოლო ქვიშა-ხრემით ობიექტი მარაგდება კომპანიის კუთვნილი სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოდან, ან სხვა ობიექტებიდან. ვინაიდან, სკრინინგის განცხადებაში, ასევე, მითითებულია, რომ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელ საწარმოში მიღებული პროდუქცია გათვალისწინებულია ასფალტის წარმოებაში გამოსაყენებლად, გაუგებარია ასფალტის საწარმოს დამატებით სხვა ობიექტებიდან ქვიშა-ხრემით მომარაგების საჭიროების საკითხი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში განხილული არ არის ასფალტის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულისა და მიღებული პროდუქციის ტრანსპორტირების, ასფალტის საწარმოსთვის განკუთვნილი დიზელის ავზების საწვავით მომარაგების, ასევე, ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემდგომი მართვის საკითხები, რაც საჭიროებს დაზუსტებას. სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ასფალტის საწარმოს ფუნქციონირება გათვალისწინებულია 16 თვის განმავლობაში (დღეში 8 საათი) და აღნიშნულ პერიოდში განსაზღვრულია ჯამურად 60 000 ტონა ასფალტის წარმოება, რომელიც გამოყენებული იქნება თბილისი-თიანეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებში. დოკუმენტის მიხედვით, ასფალტის საწარმოს სამუშაო დღის რეჟიმის განსაზღვრა შეუძლებელია და იგი დამოკიდებულია გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე, წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისათვის, ასევე, ცხელ ამინდებში ტერიტორიის მოსარწყავად, რისთვისაც საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია წყლის სამარაგო რეზერვუარი (10 ტონა). დოკუმენტში მოცემული არ არის ხანძარსაწინააღმდეგოდ და ტერიტორიის მოსარწყავად გათვალისწინებული წყლის რაოდენობისა და წყალმომარაგების წყაროს შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების ფუნქციონირების პროცესში წარმოიქმნება სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები, რომელთა რაოდენობა, მოხმარებული წყლის 5%-იანი დანაკარგისა და მომსახურე პერსონალის რაოდენობის (10 ადამიანი) გათვალისწინებით, შეადგენს წელიწადში 156.04 მ³-ს. ჩამდინარე წყლების შესაკრებად საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია ბიოტულაეტები, რომელთა განტვირთვა ხორციელდება, საჭიროებისამებრ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების პოტენციურად დამაბინძურებელი ყველა წყარო განთავსებულია გადახურვის ქვეშ და მათ დაბინძურებას ადგილი არ აქვს, თუმცა, სკრინინგის განცხადებაში ასევე მითითებულია, რომ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელ საწარმოში ნედლეულისა და პროდუქციის განსათავსებლად გათვალისწინებულია ღია საწყობები. აღნიშნული ინფორმაცია ურთიერთშეუსაბამოა და საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დოკუმენტში განხილული არ არის სანიაღვრე წყლების დაბინძურების პოტენციური წყაროები და არ არის წარმოდგენილი მათი გადახურვის შესახებ ინფორმაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების რაოდენობის, დაბინძურებისა და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების, კერძოდ, არაორგანული მტვრის, აზოტის დიოქსიდის, ნახშირჟანგის, ნახშირორჟანგის და ნახშირწყალბადების გამოყოფასა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში წარმოდგენილია საქმიანობის შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და

აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები. უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მცირე მანძილისა და ქვიშა-ხრემის გადამუშავების მეთოდის (მშრალი) გათვალისწინებით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება. ამასთან, საწარმოების ტექნოლოგიური ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, არსებული საქმიანობა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაღალი რისკით ხასიათდება. შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნის ძირითადი წყაროებია ტექნოლოგიურ პროცესებში ჩართული დანადგარ-მექანიზმები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. დოკუმენტში წარმოდგენილია ხმაურის გაანგარიშების შედეგები, რომლის თანახმად, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 48 დბა-ს. ვინაიდან, სკრინინგის განცხადებით ვერ დგინდება სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების სამუშაო დღის რეჟიმი, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ობიექტების ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის დონის „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი. ამასთან, ვინაიდან, უახლოესი მოსახლე სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების განთავსების ტერიტორიიდან დაშორებულია საკმაოდ მცირე მანძილით, აღნიშნული ობიექტების ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რაც მოითხოვს სათანადო შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო (ზეთის ფილტრები, ელექტროდის ნარჩენები, საღებავის ტარა და სხვა) ნარჩენები, რომლებიც გროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. ასფალტის წარმოებისას წარმოქმნილი ასფალტ-ბეტონისა და ბიტუმის ნარჩენები, ასევე, მტვრის შემკრებ სისტემაში შეკავებული შეწონილი ნაწილაკები, ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა უზრუნველყოფილია მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის მდ. გლდანისხევში გავრცელებული წყლისა და წყალზე დამოკიდებული სახეობების (განსაკუთრებით თევზები) შესახებ მონაცემები, ასევე, მწირია ინფორმაცია საპროექტო და მის მოსაზღვრედ მდებარე „თბილისის ეროვნული პარკის“ ტერიტორიაზე არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე. შესაბამისად, საქმიანობის განხორციელებით ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს სათანადო შესწავლას, შეფასებას და პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, თუმცა, აღნიშნული შეფასებისას არ არის გათვალისწინებული ამავე ტერიტორიაზე მიმდინარე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობის, სპეციფიკის, მახასიათებლების, კომპლექსურობისა და უახლოეს მოსახლესთან დაშორების მცირე მანძილის გათვალისწინებით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების ექსპლუატაციით მოსალოდნელია გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას შეფასებას, ასევე, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებებისა და საქმიანობის განხორციელების ადგილის ალტერნატივების განსაზღვრას, რაც დამატებითი კვლევის საგანია. ამასთან, დოკუმენტში დასაზუსტებელია და მოცემული არ არის საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 და 5.3 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მამკოდაში შპს „ენკოს“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი და ასფალტის საწარმოების ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ენკო“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ენკოს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ენკოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

